



# შანსიანი გზა

სამსოფო რეკონსტრუქციის პროექტი

**N2**

# ქალთა სმა პრობლემატიკა

№ 2

მარტი  
2011



გამოდის  
დემოკრატიის  
ეროვნული  
ფონდის  
(ფაშინგუტინი)  
მხარდაჭერით

## ბეჭედი:

ძვირფასო მკითხველებო,  
ციფრით ქალებო -  
ეს თქვენი ვუხნალია...

ყოველთვიური შეხვედრებზე  
ამომხრეველ ქალთა კლუბებში  
(ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, ხობი,  
ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი,  
ბათუმი) განსაკუთრებული  
პასუხისმგებლობა იგიძნობა  
თანაქალაქელების წინაშე, ხადგან  
კლუბის წევრებს შეუძლიათ  
პრობლემების ადვოკატირება და  
ლობირება.

საკუბებელს წევრი  
ქალბატონები კლუბებშიც  
ახიან განვეხიანებულნი  
და ეს ბევრად უფრო  
ადვილებს თანამშრომლობას  
საკუბებელკებთან.

ვუხნალის ამ წომეხში სწოხედ ამ  
თანამშრომლობაზე გიამბობთ.

იდელოკია

აპოგრიკა

ქალთა კლუბები

და სპაკუბებლოები:

ქუთაისი

წყალტუბო

ფოთი

ხობი

ფოთი

ოზურგეთი

ბათუმი

ხონი

# ამომჩივალ ქალთა ღიზის შესახებ



მოუთხრობს მკითხველს მალალ პო-  
ლიგრაფიულ დონეზე შესრულებული  
სამაგიდო კალენდარი, რომელიც  
ფონდმა „სოხუმმა“ გამოუშვა.  
კალენდრის 14 გვერდზე წლის სამ-  
სამ თვესთან ერთად ასახულია -  
ამომჩიველ ქალთა ღივის მისია,  
ამოცანები, თანამშრომლობა პოლი-  
ტიკურ პარტიებთან, მასმედიასთან.  
შემდეგ კი - ამომჩიველ ქალ-  
თა კლუბები ქუთაისში, წყალ-  
ტუბოში, ხონში, ზუგდიდში, ხობში,  
ფოთში, ოზურგეთსა და ბათუმში.  
მოთხრობილია კლუბების საქმიან-  
ობაზე, მათ ლიდერებზე.  
კალენდარი ბედნიერ, წარმატებულ  
და ნაყოფიერ წელიწადს უსურვებს  
ყველას, ვის მაგიდაზეც გაჩნდება ეს  
გამოცემა...

ქალთა მშპ პოლიტიკაში 2012

## ადვოკატირების საკითხი ქუთაისის კვლევა

- ადვოკატირება და ლობირება, რამდე-  
ნად არის საჭირო მსგავსი ინსტიტუტები, ვინ  
არიან ლობისტები და რა ფუნქციები შეიძლება  
დაეკისროს მათ - თემა, რომელიც ამ ბოლო  
დროს საკმაოდ აქტუალური გახდა, ამომჩი-  
ველ ქალთა კლუბის შეხვედრაზე განხილვის  
საგნად იქცა.

ვორკშოპი, რომელსაც ფონდი „სოხუმის“  
იურისტი ინგა მალაფერიძე უძღვებოდა, სწო-  
რედ ამ თემით დაიწყო. მან ისაუბრა ადვოკატი-  
რებასა და მის ეფექტურობაზე, მონაწილეებს  
გააცნო საქართველოს კანონი „ლობისტური  
საქმიანობის შესახებ“, რომელიც 1998 წლიდან  
ამოქმედდა.

აღინიშნა, რომ ლობირება ნიშნავს გავლე-  
ნას მთავრობის გადანყვეტილებებსა და დად-  
გენილებებზე; ლობისტმა კარგად უნდა იცოდეს  
სახელმწიფო სტრუქტურა, საკანონმდებლო სის-  
ტემა, სახელმწიფო პოლიტიკა.

თეორიულ ნაწილს მონაწილეთა განსაკუთ-  
რებული დაინტერესება და შეკითხვები მოჰყვა:

- არსებობს თუ არა საქართველოში ლობის-  
ტის სპეციალობა?

- ხდება თუ არა რაიმე ფორმით ლობისტად  
აღამიანის მომზადება?

- როგორ ხდება ლობისტად რეგისტრაცია?

- კონკრეტულად რა გავლენის მოხდენა შეუძ-  
ლია ლობისტს ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწ-  
ვეტილებაზე?

იურისტის განმარტებით, საქართველოში  
მსგავსი ფორმის სწავლება არ არსებობს, მაგრამ  
ადვოკატირება და ლობირება დღეს საკმაოდ მი-  
საღები ფორმაა.

არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვადა-  
სხვა ინტერესის ჯგუფებსა და გაერთიანებებს  
ედღევათ შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ  
საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელი  
ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწვეტილებაზე.  
მსგავსი გაერთიანებები ხშირად გამოდიან ინი-  
ციატივებით, გარკვეული ცვლილებები შეი-  
ტანონ მოქმედ საკანონმდებლო სისტემაში და  
საამისოდ სწორედ ლობირების მექანიზმს იყე-  
ნებენ.

ლობისტად რეგისტრაციის უფლება აქვს  
საქართველოს ნებისმიერ ქმედითუნარიან მო-  
ქალაქეს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი მისი  
სამსახურებრივი მდგომარეობა შეუთავსებელია  
ლობისტური საქმიანობის განხორციელებისათ-

ვის, თუ იგი არის ნასამართლევი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ან თანამდებობრივი დანაშაულისათვის ან მისი მონაცემები და წარმოდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

შეხვედრის მეორე ნაწილში მონაწილეებმა იმიტირებული სცენა წარმოადგინეს, მოამზადეს ცვლილება საკანონმდებლო სისტემაში წარსადგენად, რის შემდეგაც აქტიური დისკუსია გაიმართა - რატომ უნდა იქნეს ეს ცვლილება განხორციელებული და რა პოზიტიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას თითოეული მოქალაქისათვის.

ვორკშოპის დასასრულს მონაწილეებმა საკუთარ შთაბეჭდილებებზე ისაუბრეს.

შეხვედრა საკმაოდ პროდუქტიული იყო - ასეთია საერთო შეფასება.

როგორც აღნიშნეს, მონაწილეებს მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია ჰქონდათ ლობირების შესახებ, პირველად გაიგეს, რომ არსებობს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რომელიც არეგულირებს ლობისტურ საქმიანობას საქართველოში.

ნონა აბშილავა: „სიტყვა ლობირება ხშირად მესმის, მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს და რისთვის არის საჭირო, კომპეტენტური ინფორმაცია პირველად აქ მოვისმინე. გავიგე, რისი ადვოკატირების უფლება მაქვს, რადგან აუცილებელია იცოდე, რა უნდა მოითხოვო, რისი შეცვლის უფლება გაქვს. შესაძლოა, არ მოგწონდეს რომელიმე საკანონმდებლო გადაწყვეტილება,

**ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბი მოქმედებს 2006 წლიდან. კლუბის ლიდერია გულნარა ლაკერბაია. შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ფონდი „სოხუმის“ ოფისში.**

მაგრამ ლობირებით თურმე შესაძლებელი ყოფილა ახალი ინიციატივებით გამოსვლა, შეცვლა, გავლენა მიღებულ გადაწყვეტილებაზე.“

დალილა თამაზოლი: „ლობირება კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ახლოს იყო ხელი-სუფლებასთან, აგრძნობინო მას საკუთარი შესაძლებლობები და საჭიროების შემთხვევაში აიძუ-

ლო კიდევ, გაითვალისწინოს შენი შეხედულებები ამა თუ იმ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში.“

ლია გვენეტაძე: „ვორკშოპი საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, რომ გავარკვიეთ, რამდენად საჭიროა სამართლებრივი ნორმები, რატომ უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რა არის ლობირება, რათა გავლენა მოახდინოს ჩინოვნიკების გადაწყვეტილებებზე“.

ნატო თოდუა: „როდესაც იცი და გაქვს უფლება, ანუ ხელი მიგინვდება, შეცვალო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ შენ შეგიძლია მონაწილეობდე იმ პროცესებში, რომლებიც შენთვის იქმნება, შენთვის ინერება და სულაც არ არის აუცილებელი, ამისათვის იჯდე პარლამენტში, ან რომელიმე საკანონმდებლო სისტემაში, ლობირება გაძლევს საშუალებას, ცვლილებები გარედანაც დაგეგმო.“

მიღებული ინფორმაცია მონაწილეებს აძლევს საშუალებას, იყვნენ აქტიურები და ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საბუნა გოგუა



# წყალტუბო: ქალთა ახალ ინიციატივაზე ფიქრობენ

წყალტუბოს ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრთა დიდი ნაწილი დევნილია, ამიტომ, ბუნებრივია, ნებისმიერი შეხვედრა დევნილთა პრობლემებით იწყება. ჩამონათვალში, ძირითადად, ფიგურირებს სოციალური პრობლემები, განსახლება, ბინების პრივატიზება, დეკანონება.

კლუბის წევრები იმ დროს იხსენებენ, როცა მათი თავშეყრა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ერთმანეთს სატკივარს უზიარებდნენ, მსჯელობდნენ, გამოსავალზე ფიქრობდნენ.

ზაირა კოპალიანის აზრით, კლუბის შეხვედრა სულაც არ არის თავშეყრა მხოლოდ პრობლემათა გასაზიარებლად.

ამომრჩეველ ქალთა კლუბმა ეს ეტაპი გაიარა. „უკვე მივხვდით, რომ საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად თავადვე უნდა ვიაქტიუროთ. პრობლემა იმდენი გვაქვს, მათი ჩამოთვლა არავის გვეძლება, აქტიურობა ნიშნავს მათ მოსაგვარებლად ეფექტური გზების გამოხსენას“.

მის მოსაზრებას კლუბის დანარჩენი წევრებიც ეთანხმებიან:

„ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება, ჩვენ უნდა ვიცოდეთ სწორი გზა მათ მოსაგვარებლად“.

„ყველა პრობლემა ოჯახს უკავშირდება. ის, რაც ოჯახს ეხება, ქალებს განსაკუთრებით ანუხებთ. მთავარია, პრობლემის გადაწყვეტა შეეძლოს.“

ეს სიტყვები კლუბის წინა შეხვედრებზე ისმოდა. ეს ყველაფერი უკვე ითქვა, ეს ერთი ეტაპი იყო, რომელიც კლუბმა გაიარა.

მომდევნო ეტაპზე უფრო თამამი განცხადებები გაისმა: ჩვენი ფუნქცია არ უნდა შემოსაზღვროს მხოლოდ პრობლემების აღიარებით. ეს მინიმალური რამაა და შედეგებზე გავლენას არ ახდენს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ საკუთარ თავს და სხვებსაც ამ პრობლემების გადაჭრაში.

რუსუდან ასათიანის აზრით, „ყველა ქალი ვერ მოხვდება ადგილობრივ თვითმმართველობაში, მით უმეტეს - პარლამენტში. აუცილებელია მოინახოს გზა, რომელიც ამომრჩეველ ქალთა კლუბზე დასმული პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება ქალებს.“

თებერვლიდან ფონდმა „სოხუმმა“ დაიწყო ვორკშოპების ჩატარება ადვოკატირებისა და ლობირების თემაზე. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ არსებობს საქართველოს „კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ“. ადვოკატირება და ლობირება ის გზაა, რომელიც პრობლემის მოგვარების საშუალებას იძლევა.

ქალთა სმა პოლიტიკაში  
2012



წყალტუბოში გამართულ ამომრჩეველ ქალთა კლუბის შეხვედრაზე ეს საკითხები დიდი ინტერესით მოისმინეს შეკრებილებმა.

- ეს არ არის ქართული მოდელი, მაგრამ საქართველოში საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს, რადგან ეფექტურია იმ მექანიზმებს შორის, რომელთაც ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად იყენებენ, - იურისტმა ინგა მალაფერიძემ მონაწილეებს ის ინფორმაცია მიაწოდა, რომელსაც ადვოკატირება და ლობირება ითვალისწინებს.

ნანა კოპალიანი მიიჩნევს, რომ ლობირება საზოგადოებას მისცემს საშუალებას, თანამონაწილე იყოს ქვეყნის საკანონმდებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებისა. ამის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის.

იგივე მოსაზრება აქვს კლუბის ლიდერ ნანა კინწურაშვილს: „დასანანიია, რომ საზოგადოებამ არ იცის მსგავსი ინფორმაცია, ამიტომაც არის ნიჰილიზმისა და ინერტულობის ხარისხი ასე მაღალი. ყველაფერს სხვები წყვეტენ, არაფერზე ხელი არ მიგვიწვდება - ასე-

**წყალტუბოს ამომრჩეველ ქალთა კლუბი მოქმედებს 2009 წლიდან.**

**კლუბის ლიდერები: გულნარა ლაკერბაია და ნანა კინწურაშვილი. შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრში, სანატორიუმ „მედეაში“.**

თია საზოგადოების დამოკიდებულება.“

„მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს საზოგადოების სამართლებრივი დონის ამაღლებას. რაც უფრო მეტი ადამიანი გაერკვევა იმაში, სამართლებრივად რისი უფლება აქვს, რისი მოთხოვნა, გადაჭრა შეუძლია, მით უფრო აქტიური და ძლიერი იქნება საზოგადოება. ქალები ამისთვის მზად არიან, რადგან არაერთ-

თი მნიშვნელოვანი ინიციატივა გაჟღერებულა ჩვენს კლუბებზე და საუბარი ადვოკატირებასა და ლობირებაზე სწორედ რომ მნიშვნელოვანია,“- ამბობს კლუბის ლიდერი გულნარა ლაკერბაია.

ვორკშოპები ადვოკატირებასა და ლობირების საკითხებზე სხვაგან, სხვა კლუბებზეც გაგრძელდება, რათა საზოგადოების რაც შეიძლება მეტმა ნაწილმა იცოდეს, რომ არსებობს გზა მათი პრობლემების გადასაჭრელად.

**სათუნა გოგუა**

**ინსტრუქციები**

- მსოფლიოში სამ მილიარდზე მეტი ქალი ცხოვრობს. საშუალოდ ისინი ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს ან უფრო მეტს შეადგენენ. ქვეყნების უმეტესობაში ქალებმა მამაკაცებზე გვიან მიიღეს საარჩევნო უფლება. მაგალითად, ამერიკაში მამაკაცებმა - 1870 წელს, ქალებმა - 1920 წელს, იაპონიაში მამაკაცებმა 1925 წელს, ქალებმა - 1945 წელს.

ბევრმა ქვეყანამ შეძლო ქალთა წარმომადგენლობის მიღწევა პარლამენტში ერთი მესამედის დონეზე დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა რაოდენობა ოთხჯერ გაიზარდა.

[www.clubs.ya.ru](http://www.clubs.ya.ru)

- მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია მსოფლიოს ერთ-ერთ პირველ დემოკრატიულ ქვეყანას მიეკუთვნება, ის ბოლო ევროპული სახელმწიფო იყო, რომელმაც ქალებს საარჩევნო და ხმის მიცემის უფლება მისცა. მხოლოდ 1971 წელს მიენიჭათ ქალებს კენჭისყრის უფლება, 1981 წელს კი კონსტიტუციაში დამტკიცდა ახალი მუხლი, რომელიც ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის გარანტიას იძლეოდა.

ამჟამად ქალები შვეიცარიის ელექტორატის 54 პროცენტს შეადგენენ. 2007 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით, ქალ პარლამენტარებზე ეროვნულ საბჭოში 29 პროცენტი მოდის, ხოლო კანტონთა საბჭოში - 22 პროცენტი.

[www.swissworld.org.ru](http://www.swissworld.org.ru)

# ზუბიდი: თანასწორობის პრობლემის წარსული და დღევანდელი

ქალთა სქვა ქალთა ცენტრში 2012

## ნიგნის შესავლიდან

ლევანდები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ქართული თუ უცხოური ისტორიული წყაროები გამოგვეცემდნენ, რომ საქართველოში ქალს განსაკუთრებული ადგილი, ფუნქცია ჰქონდა, განსაკუთრებული იყო ქალისადმი პატივისცემაც.

ჭკვიანი და სათნო ქალი ამოყვრებდა, ამეგობრებდა და არიგებდა გადამტერებულ ადამიანებს, ზოგჯერ სახელმწიფოებსაც. ის იყო სიყვარულის, ერთობისა და მეგობრობის სიმბოლო.

ქალის მანდილს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ქალი მოშულართა შორის მანდილის ჩაფენას მოასწრებდა, მონინალმდეგეები ჩხუბს თავს ანებებდნენ.

ქართველი ქალის მაღალი მდგომარეობა, მისი როლი ისტორიაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში კარგად ჩანს უამრავ ისტორიულ-მხატვრულ ძეგლში, რომლის გვირგვინია უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ამ პოემამ სულ სხვა თვალთ დაანახა პატრიარქალურ სამყაროს ქალის როლი და ძალა ქვეყნის მართვის თუ ადამიანური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში.

ქართველ ქალებზე აღფრთოვანებულები წერდნენ ესქილე, ქსენოფონტე, სტრაბონი, ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა, ალექსანდრე პუშკინი...

უდიდესი იყო ქალის ინტელექტუალური პოტენციალი. ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ნათურქალი საქართველოს მდგომარეობის აღწერისას ამბობდა: „ქართული წერა-კითხვა სულ მოსპობილი იქნებოდა, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. თუ ვისმე უნდა წერა-კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელიმე ქალს მიეზაროს სასწავლებლად. იქ, სადაც დამპყრობელთა ძალადობისა და ისლამის გავლენის წყალობით ვაჟებში ქრებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი, ეროვნულ თვითშეგნებას ქართულ ენასა და მნიგნობრობასთან ერთად ინახავდნენ ქალები.“

## პრეზენტაცია

„გენდერული თანასწორობის ქართული ფესვები“ 2010 წელს გამოსცა ასოციაცია „მერკურმა“ (ასოციაციის თავმჯდომარეა ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბის თავმჯდომარე ნანა თოდუა).

ნიგნის ავტორია მანანა ბუკია, ხოლო დიზაინი ეკუთვნის ოლგა კიკავას (ორივე ქალთა კლუბის აქტიური წევრია).

ნიგნში თავმოყრილი და აკინძულია მასალები ცნობილი ქართველი ქალების შესახებ. მთავარი სათქმელი თავად ნიგნის სახელწოდებაშია ჩადებული, რომ გენდერულ თანასწორობას საქართველოში ღრმა ფესვები აქვს!

ავტორს საქართველოს ისტორიის ათასწლეულთა ნიაღში გადავყავართ. მთავარი გმირები სწორედ ქალები არიან, გმირი ქართველი ქალები - ბევრი მათგანი მკითხველისათვის ნაცნობია: მედეა, კირკე, თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი, მარიამ დადიანი, გულჩარა, თამარ ბაგრატიონი, გურჯი ხათუნი, მარო მაცაშვილი, ნინო ჭავჭავაძე, ოლღა გურამიშვილი...

ჩანს, ნიგნი დიდი შრომისა და რუდუნების ფასადაა შექმნილი. ავტორს - მანანა ბუკიას ნიგნის შედგენისას მოშველიებული აქვს ძველი ბერძნული საისტორიო წყაროები



მანანა ბუკია თავის ნიგნზე საუბრობს

ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბი მოქმედებს 2006 წლიდან. კლუბის ლიდერები: მანანა ნაჭყებია და ნანა თოდუა. შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად წმინდა გიორგის სასულიერო გიმნაზიაში ან ასოციაცია „მერკურში“.



2012 წლის 12 თებერვლიდან

თუ თქმულებათა ციკლი, რომელიც მოგვითხრობს სამიათას ხუთასწლოვან ამბებს ოქროს საწმისზე, ოქრომრავალ კოლხიდაზე, არგონავტების მოგზაურობაზე აია-კოლხეთში, უძველესი ცივილიზაციის აკვანში.

სწორედ ამიტომაც მიიღო ის მკითხველმა გულთბილად წიგნის პრეზენტაციაზე.

პრეზენტაცია ზუგდიდის ამომრჩეველ ქალთა კლუბის შეხვედრაზე მოეწყო.

თავის გამოცემაში ავტორმა ნათლად გადმოსცა ჩვენი საქმიანობის მთავარი მიზანი - თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის - მარადიული განსჯის თემა, რომელსაც ასე შორეულ წარსულში მივყავართ...

**მანანა ბუკია არის ფილოლოგიის დოქტორი, ლინგვისტ-კავკასიოლოგი, მუშაობს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. მისი ინტერესების სფეროა ქართველოლოგია, კავკასიოლოგია, საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხები.**

**მუშაობს ქართველურ-აფხაზურ ლინგვოკულტურულ პრობლემებზე, ასევე ზანური ენის მორფოლოგიაზე. არის 60-მდე სამეცნიერო სტატიის და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი.**

**გასულ წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა მისი ნაქარგი ხატების გამოფენა.**

საამაყო, რომ წიგნის ავტორი ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრია.

ახალი გამოცემა „გენდერული თანასწორობის ქართული ფესვები“ საჩუქრად მიიღო კლუბის ყველა წევრმა. ქალბატონი მანანა აპირებს გააგრძელოს მუშაობა ქალთა საკითხებზე და გამოსცეს წიგნი ქალის როლის შესახებ ქართულ ლიტერატურაში.

**ცოტა რამ ასოციაცია „მერკურის“ შესახებ**

2010 წლის 1 თებერვლიდან ასოციაცია „მერკური“ ფონდ FILIA-ს ხელშეწყობით ახორციელებს პროექტს „სამეგრელოს რეგიონული გენდერული ქსელი“.

8 მარტს სამეგრელოს რეგიონში მოქმედმა 12 ქალთა ორგანიზაციამ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ქსელში გაერთიანდნენ ორგანიზაციები: ასოციაცია „მერკური“ (ზუგდიდი), საზოგადოებრივი კავშირი „მაცნე“ (ჩხოროწყუ), ინვალიდთა ასოციაცია (წალენჯიხა), სამართლებრივი დაცვის ინსტიტუტი (ზუგდიდი), ასოციაცია „დიოსკურია“ (ფოთი), ასოციაცია „ოქროს საწმისი“ (ზუგდიდი), ასოციაცია „იმედი“ (ზუგდიდი), ასოციაცია „ქსენონი“ (ზუგდიდი), საქველმოქმედო ცენტრი „თანაზიარი“ (ზუგდიდი), ასოციაცია „სამეგრელო - მედეა“ (ზუგდიდი), საინიციატივო ჯგუფი (ხობი), დამოუკიდებელი მედია ცენტრი (ზუგდიდი).

ქსელის ამოცანებია: გენდერულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების კოორდინაციის გაზრდა, ინფორმაციის გაცვლა რეგიონალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, ერთობლივი პროექტებით რეგიონში ქალთა პრობლემების ეფექტურად გადაჭრა.

**მანანა ლეჟაშვილი**

# თანამშრომლობა ხოზის მატალითა

ამომრჩეველ ქალთა კლუბს ხშირად ესწრებიან ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, როგორც ქალბატონები - დალი გერგაია, ხატია ოჩიგავა, ასევე მამაკაცებიც - ლაშა ცაბავა, კარლო ჯობავა.

კლუბის ლიდერი მანანა შულაია ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. ის აღნიშნავს, რომ ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ბევრ რამეში უწყობს ხელს: „ამომრჩეველ ქალთა კლუბი დამეხმარა, უფრო ახლოს გავცნობოდი ხობელი ქალების პრობლემებს. საკრებულოს სხდომებზე განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ქალთა პრობლემებზე ვამახვილებთ - ჯანდაცვა, დასაქმება, გაშვილება...“

მონაწილეობა მივიღე ფონდი „სოხუმის“ მიერ გამართულ ტრენინგში ქობულეთში, გავიღრმავე ცოდნა, გავეცანი ფონდი „სოხუმის“ გამოცემას „ქალთა ლიდერობის ფენომენი“, პერიოდულად ვეცნობი ჟურნალ „ქალთა ხმას“.“ ჩვენს შეხვედრებზე ხშირად ვინვევთ სამსახურის უფროსებს, ლიდერ ქალებს, ისინი ეცნობიან ჩვენს მუშაობას, ჩვენ კი ვცდილობთ მათი ამბიციის გაზრდას, რომ გაუჩნდეთ პოლიტიკაში მოსვლის სურვილი.“

მანანა შულაია მიიჩნევს, რომ ფონდი „სოხუმი“ დიდ როლს თამაშობს ქალის როლის გააქტიურებასა და ქალთა და ბავშვთა პრობლემების ადვოკატირებაში. კლუბთან თანამშრომლობის შემდეგ რაიონულ გაზეთ „ხოზის მოამბეში“ ხშირად იბეჭდება წერილები ქალთა თემებზე, ქალთა პრობლემებზე.

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლაშა ცაბავა ამომრჩეველ ქალთა კლუბის თითქმის ყველა შეხვედრის მონაწილეა: „ქალთა კლუბის მუშაობაში მეორე წელია, ვმონაწილეობ. ჩემთვის უფრო საინტერესო გახდა ქალთა საკითხები. მე, როგორც მამაკაცს, ახლოს მინდა გავეცნო ქალთა შეხედულებებს, მათ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ხედვას, ასე უკეთესად დავეხმარებით მათ პრობლემების მოგვარებაში. მივიჩნევ, რომ საინტერესოდ მიმდინარეობს ამომრჩეველ ქალთა კლუბის მუშაობა. ამ შეხვედრებამდე ვერც წარმომედგინა, ქალებს ამდენი პრობლემა თუ ჰქონდათ“.

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს დალი გერგაიას ვესტუმრეთ.

ის კარგად იცნობს ამომრჩეველ ქალთა კლუბის მუშაობას. რამდენჯერმე ესწრებოდა შეხვედრას: „კლუბი ცდილობს, საკრებულოს წევრებს მოსახლეობის პრობლემები უფრო ახლოს გააცნოს. მე, როგორც საკრებულოს წევრი, მათ ვანვდი ინფორმაციებს სოციალური პროგრამების შესახებ“.

სოციალური პროგრამებით ჩვენც დავინტერესდით. 2011 წელს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური პირობების, საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის ღირებულებაა 305100 ლარი.

აქედან:

უმწეოთათვის სასადილოები ფინანსდება 60000 ლარით.

დევნილების დაკრძალვის ხარჯებისათვის გამოყოფილია 3000 ლარი.



ხობის ამომრჩეველ ქალთა კლუბი მოქმედებს 2009 წლიდან. კლუბის ლიდერია მანანა შულაია. შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად გაზეთ „ხობის მოამბის“ რედაქციაში.

ვეტერანების დაკრძალვის ხარჯი 2000 ლარი. სადღესასწაულო დღეებში მრავალშვილიანთა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა, ომში დაღუპულთა ოჯახების, სამამულო ომის ვეტერანთა დასახმარებლად - 17600 ლარი.

დახმარებები ახალშობილთათვის - 39000 ლარი.

სუბსიდიიდან უმწეო კატეგორიაზე წყლის ხარჯის ანაზღაურებაზე - 12000 ლარი.

სტიქიით დაზარალებულთა და დამენყრილთა დახმარებებზე - 88000 ლარი.

ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურებისათვის - 19500 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება განსაკუთრებით მძიმე შემთხვევების დროს - 64000 ლარი.

დავინტერესდით იმითაც, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა სოციალურ პროგრამებს და რა სურვილები გააჩნია. პირად საუბარში ზოგი ვერ ფარავს უკმაყოფილებას, თავს იკავებს კომენტარისგან, ზოგი დადებითად აფასებს.

- საკრებულოს სხდომები ღიაა და საჯარო, საზოგადოება აქტიურადაა ჩართული მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში, - ნატო ლომია.

- მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მეტი დახმარება უნდა მიეცეთ. ვისურვებდი, საბავშვო ბაღებში შემცირდეს გადასახადი, - ირმა კილასონია.

- უნდა გამარტივდეს კანონი შვილად აყვანის შესახებ, - ანა ახალაია.

- ვისურვებდი, საკრებულოს წევრებმა უფრო აქტიურად ითანამშრომლონ კლუბის წევრებთან, - თეა შურლაია.

რესპონდენტთაგან ასეთი ფრაზებიც გაისმა: არ გვინდა მარტო დაპირებები, გვინდა რეალური შედეგები!

ვისურვებდით, რომ სოციალური პაკეტი ადამიანთა ისეთ კატეგორიაზე იყოს გათვლილი, ვინც მართლა საჭიროებს დახმარებას. ვიმედოვნებთ, რომ თანამშრომლობა კლუბსა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის კვლავ გაგრძელდება და ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაც სწორედ მოსახლეობის ინტერესებზე, მათი უფლებების დაცვასა და კეთილდღეობაზე იქნება აგებული.

მანანა ლუგაშელი

# ინტერვიუ-აგაპეი

●

ქალისათვის დეპუტატობის სურვილი ბელარუსში უკვე არ არის ეგზოტიკა, ამტკიცებს ლუდმილა გრიაზნოვა, უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, ლიდერი ორგანიზაციისა „სამართალდამცავი ალიანსი“. ის იხსენებს 15 წლის წინანდელ ვითარებას, დეპუტატად წარდგენის გამოცდილებას და აღნიშნავს, რომ მაშინ ხალხი აღშფოთებას არ მალავდა: - რა უნდა ქალს, რატომ მიძვრება მამაკაცთა კომპანიაში?

გრიაზნოვას ნაწილობრივ არ ეთანხმება ოლგა კარაჩი, რომელსაც გააჩნია საქალაქო საბჭოს დეპუტატობის გამოცდილება. ერთი მხრივ, ამბობს ის, საზოგადოებაში პატივს სცემენ ქალის შრომას და ესმით, რამდენს აკეთებენ ქალები ოჯახისა და საზოგადოებისათვის.

მაგრამ, მეორე მხრივ, ბელარუსში ძლიერია პატრიარქალური სტერეოტიპები. თვით ოლგას არაერთხელ მოუსმენია ამგვარი სიტყვები: „როგორ მიდის ეს ქალი დეპუტატად! ქალის არჩევა სახიფათოა!“ რატომ არის სახიფათო, ამას, ჩვეულებრივ, არავინ ხსნის.

- ბელარუსის მთავრობა იცავს საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნებს, რომ მმართველობის ორგანოებში ქალთა 30 პროცენტი მაინც უნდა იყოს, - აღიარებს ტატიანა სევერინეცი, ადგილობრივი საბჭოების საოლქო საარჩევნო შტაბის წარმომადგენელი. მაგრამ გენდერული ნონასწორობის დაცვას წმინდა წყლის ფორმალობას უწოდებს. მისი სიტყვებით, უთანასწორობაა თავიდანვე, როცა იზღუდება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა.

ფორმალურად დაცულია მოთხოვნა ქალთა წარმომადგენლობის შესახებ ადგილობრივ საბჭოებში, ამტკიცებს სადაბო საბჭოს დეპუტატი ოლგა ხარლამოვა. მისი სიტყვებით, კანდიდატთა სიებს „ადგენენ“ ადგილობრივი სადეპუტატო კორპუსის ჩამოყალიბების დროს და მთავარი აქ ისაა, მთავრობას ვისი ხილვა უნდა დეპუტატად.

www.dw-world.de/dw/article

# ფოთი: საკრებულოს სოციალური პაკეტი და სხვა საკითხები

„თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები ერთ-ერთი გამორჩეულია მთელს საქართველოში, ჩვენი პაკეტი მდიდარია და მრავალფეროვანი - ის სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება,“ - აღნიშნავს დარეჯან ცხვიტარია. ქალბატონი დარეჯანი თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს წევრია და ამასთანავე ფოთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის აქტიური წევრი.

ჩანს, რომ საკრებულოს წევრი ქალბატონისთვის პრიორიტეტული სოციალური და ჯანდაცვის სფეროებია. ამბობს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, გამოყოფილია ყოველთვიური ფულადი დახმარებები მათთვის. ფოთი ერთადერთი ქალაქია, სადაც სამშვილიან დედას მრავალშვილიანად მიიჩნევენ. უფასო და ხელმისაწვდომია მკურნალობა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

ქალბატონ დარეჯანს კლუბის წევრებიც ეთანხმებიან. კლუბის წევრი როლეტა კვაშილავა აღნიშნავს, რომ ფოთის სოციალური პაკეტი ხელს უწყობს გაჭირვებულ მოსახლეობას და მდგომარეობას უმსუბუქებს.

ჩვენ ვეცადეთ, უფრო ახლოს გავცნობოდათ თვითმმართველი ქალაქ ფოთის სოციალურ თუ ჯანდაცვის პროგრამებს და გამჭვირვალობის მიზნით, ჩვენი მკითხველისთვისაც მიგვეზღოთ დებიანა.

2011 წლის მონაცემებით, სულ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებისათვის ბიუჯეტში ჩადებულია 1079000 ლარი, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისათვის გამოყოფილია 364 ათასი ლარი.

აქედან:

ფსიქიურად დაავადებულთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის - 8 ათასი ლარი.

ფსიქიურად დაავადებულთა და ურგენტულ ავადმყოფთა ქალაქგარეთ ტრანსპორტირებისათვის - 10 ათასი ლარი.

მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობისათვის 120 ათასი ლარია გამოყოფილი.

გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკისათვის - 10 ათასი ლარი. ამდენივე თანხაა გამოყოფილი მედიკამენტებით მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის.

ბავშვთა იმუნოზაციის ხელშეწყობისათვის - ხუთი ათასი ლარი.

25 ათასი ლარია გათვალისწინებული სას-

ქალთა სსიპ პოლიტიკაში 2012



მელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევებისათვის.

სოციალური დაცვის პროგრამებისთვის გამოყოფილია სულ 715 ათასი ლარი.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის - 7 ათასი ლარი.

კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამაში 45 ათასი ლარია ჩადებული.

ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებისათვის - 40 ათასი.

სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამისათვის - 20 ათასი ლარი.

მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური პროგრამა 210 ათას ლარს შეადგენს.

მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციოდ გამოყოფილია 62 ათასი ლარი.

საქალაქო სუბსიდიების ხარჯები 80 ათასი ლარია.

35 ათასია გათვალისწინებული მარტოხელა დედებისათვის.

მოსახლეობის ერთჯერადი მატერიალური დახმარებები 40 ათასი ლარია.

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამა - 5,5 ათასი ლარი.

თუმცა თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები მრავალფეროვანია, რიგი პრობლემებისა მაინც მოუგვარებელია. ამაში დარეჯან ცხვიტარიაც და კლუბის წევრებიც გვეთანხმებიან. ვიმედოვნებთ, რომ არსებული პრობლემების დასმასა და გადაჭრაში ჩვენი კლუბის აქტიური წევრებიც შეიტანენ თავიანთ წვლილს.

**ცოტა რამ კლუბის წევრების შესახებ**

**მანელა პარტოზია:** „ქალებს შეუძლიათ პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობის მიღება“

მანელა კარტოზია პირველად დაესწრო ამომრჩეველ კლუბის შეხვედრას და აქტიურად ჩაერთო სხვადასხვა თემის განხილვაში.

„ძალიან მომეწონა შეხვედრა და ყოველთვის აქტიურად ვითანამშრომლებ თქვენთან.“

**ფოთის ამომრჩეველ ქალთა კლუბი მოქმედებს 2009 წლიდან. კლუბის ლიდერია სოფო ბილისოძე. შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ფოთის საკრებულოს შენობაში.**

თუმცა ამჯერად უმუშევარია, არჩევნების დროს, როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, აქტიურად იყო ჩართული საარჩევნო კამპანიაში.

„მიუხედავად იმისა, რომ ქალის მთავარი საქმიანობა და პრიორიტეტი ოჯახია - მე სამი შვილის დედა ვარ - საარჩევნო კამპანიის დროს არ მიგრძენია დაღლა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ქალებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში.“

მანელა კარტოზია ამბობს, რომ დღევანდელ დროში სამი შვილის დედაობა ძნელია, ბევრ პრობლემას აწყდება, რისი გადაჭრაც აუცილებელია. მიაჩნია, რომ ნაციონალურ პარტიასთან თანამშრომლობამ უბიძგა აქტიურობისაკენ, კლუბის წევრობა კი დაეხმარება პარტიაში უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის.

**ენდელა კალანდაძე:** „ყოველთვის სიამოვნებით მოვდივარ შეხვედრაზე. აქ აქტიური ქალები იკრიბებიან.“

ენდელა კალანდაძე ქალაქ ფოთის უძრავი ქონების სააგენტოში აგენტად მუშაობს. იგი ამომრჩეველ ქალთა კლუბის აქტიური წევრია და ძალიან გაიხარა, როცა შეიტყო, რომ კლუბების მუშაობა კვლავ გრძელდება.

„ყოველთვის სიამოვნებით მოვდივარ შეხვედრაზე. აქ აქტიური ქალები იკრიბებიან და ვმსჯელობთ სხვადასხვა აქტუალურ პრობლემაზე. ინიციატივებს, რომელთაც დისკუსიისას დავსვამთ, ვასრულებთ, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. დღევანდელი კლუბის მუშაობა განსაკუთრებული იყო, ძალიან კარგი საკითხები ჩამოვაყალიბეთ, მათ შორის - ცვლილებები კანონმდებლობაში იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რაც ჩვენ, ქალებს, გვანუხებს. თუ მათგან ზოგიერთის მოგვარებას მაინც მივალწიეთ, ეს ჩვენთვის დიდი წარმატება იქნება.“

ენდელა კალანდაძე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრია. როგორც გვითხრა, პარტიის წევრობამ უფრო აქტიური და მიზანდასახული გახადა. ამომრჩეველ ქალთა კლუბთან თანამშრომლობამ სურვილი გაუღვიძა, გახდეს ლიდერი და ეს დასახული მიზნის მიღწევაში ხელს შეუწყობს.

**მანანა ლეშაშელი**  
**ლია ხარაბაძე**

# ოფიციალური - მუშაობის მუშაობა, თანამშრომლობა

## ჩანაწერებიდან...

ლილი მენაბდე ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის მუშაობას საინტერესოსა და ეფექტურს უწოდებს: - იმართება საუბრები ქალთა უფლებებზე, გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახურ ძალადობაზე, საარჩევნო კოდექსზე, ლობირებასა თუ ადვოკატურებაზე. ვმსჯელობთ და ვკამათობთ, საბოლოოდ კი ერთ აზრამდე მივდივართ.

მარინა კიპაროიძის აზრით, შეხვედრები ნაყოფიერია: - აქ გავეცანი კანონს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მასში შეტანილ ცვლილებებს. გავეცანი ფონდი „სოხუმის“ ინიციატივას - 600-ლარიანი დახმარება ყველა მშობიარე ქალს. ყველას მოვუწოდებ, მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას!

ნანა კეკელიძე აცხადებს, რომ კლუბთან ურთიერთობამ საკუთარი თავი აპოვნინა: „მასწავლა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. თითოეული შეხვედრა სიახლის მომცემია“.

კლუბის შედარებით ახალი წევრი, ნანა ბერაძე ამბობს, რომ ყოველთვის მოუთმენლად ელოდება ამომრჩეველ ქალთა კლუბის შეხვედრებს, დისკუსიებს საინტერესო თემებზე, აქტუალურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

ნინო ნიკოლაიშვილი საკუთარ თავს

კლუბის წევრსა და მეგობარს უწოდებს: „ბევრი აქტიური ქალბატონი გავიცანი. თავად აქტიურობა არასოდეს მაკლდა, მაგრამ აქ ყოფნამ კიდევ მეტი თავდაჯერებულობა შემძინა. ჩვენ არავინ მოგვართმევს ჩვენთვის უკეთეს პირობებს, ამისათვის თავად უნდა ვიზრუნოთ. მე სერიოზული ცვლილებებისთვის ვემზადები!“

თეა დოლიძე ორი წელია, რაც კლუბში განწევრიანდა. ის ყოველი შეხვედრიდან საინტერესო დასკვნების გამოტანას ცდილობს: - მივესალმები ფონდი „სოხუმის“ ინიციატივას, მივიჩნევ, რომ 600-ლარიანი ფულადი დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ოჯახებისათვის, რომლებიც მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობენ.

თამარ ქავთარაძეც დადებითად აფასებს კლუბის მუშაობას: - ვუსმენ ქალთა დიალოგებს და თავადაც ინტერესით ვერთვები...

ნანა სარიშვილი ამბობს, რომ ქალბატონები უზიარებენ ერთმანეთს აზრებს, შეხვედრებებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკრებულოს წევრ ქალბატონებთან ურთიერთობა.

ნინო ორლოვსკაიას თქმით, კლუბის მუშაობა შედეგიანია, განსაკუთრებით მოსწონს გაცვლითი შეხვედრები.

- ყოველი შეხვედრა განსხვავებულია, - აღნიშნავს ციცი კუპრაძე. - მნიშვნელოვნად მივიჩნევ გაცვლით შეხვედრებს

ქალთა სსიპ პატიცხივამი უწევს



რეგიონებში. მიმანჩია, რომ საჭიროა ქალთა აქტიური ჩართვა პოლიტიკაში ქვეყნის უსაფრთხოებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის.

ანი მიმინოშვილი აღნიშნავს, რომ კლუბი

ქალთა პოლიტიკური გააქტიურებისკენაა მიმართული, არის ინფორმაციის წყარო, აქ მიღებულ ინფორმაციებს სხვებს გადასცემს...

კლუბის ვეტერანი წევრი ქეთევან ქადიეშვილი (ასე უწოდებს საკუთარ თავს) ყოველ შეხვედრას მოუთმენლად ელის: „მიხარია, მარტო რომ არ ვარ, აქ ჩემი თანამოაზრეები არიან“.

ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბი მოქმედებს 2006 წლიდან.

კლუბის ლიდერები არიან ნანა კეკელიძე და ილინა სეროვა.

შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად განათლების რესურს-ცენტრში.

იშვიათად ახერხებენ კლუბის შეხვედრებზე დასწრებას, ჩვენ თავად ვესტუმრეთ მათ, რათა უფრო ახლოს გავცნობოდით მათ საქმიანობას და ჩვენი მუშაობის შესახებაც მოგვეთხრო...

გულთბილი შეხვე-

დრა მოგვინყვეს ოზურგეთის საკრებულოს ლამაზმანებმა. ირინა საჯაია ამ აღნიშნა, რომ ამომრჩეველ ქალთა კლუბთან თანამშრომლობას არ შეწყვეტს, რადგან:

„ფონდთან ურთიერთობამ ბევრი რამ შემძინა. მივიღე სხვა საკრებულოებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ერთკვირიანი ვიზიტით ვიმყოფებოდი სომხეთში სხვადასხვა რეგიონის ქალბატონებთან ერთად, გავეცანიტ გენდერულ მდგომარეობას პოლიტიკაში“.

შეკითხვაზე, თუ რამდენად არის საკრებულოს საქმიანობაში გათვალისწინებული გენდერული ასპექტები, ირინა საჯაია ამბობს, რომ მათი მუშაობა ქალთა პრობლემების მოგვარებასა და შესაძლებლობების მხარდაჭერას ითვალისწინებს.

როგორ წარმოუდგენიათ საკრებულოსა და ამომრჩეველ ქალთა კლუბების ურთიერთკავშირი, ამ შეკითხვაზე ნანა თავდუმადე პასუხობს, რომ საკრებულო უწყვეტ კავშირში იქნება კლუბთან, მიაწვდის ინფორმაციას სოციალური თუ კულტურული პროგრამების შესახებ, კლუბში დასმული პრობლემები კი საკრებულოს სხდომებზე განიხილება.

და ბოლოს, საკრებულოს წევრები აღნიშნავენ, რომ მარტივად საკრებულო გამოაცხადებს საგრანტო პროექტების კონკურსს. კონკურსში ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას, საკრებულო კი მხარს დაუჭერს კარგ პროექტებს. ეს კიდევ უფრო გაამყარებს თანამშრომლობას ოზურგეთის საკრებულოსა და ამომრჩეველ ქალთა კლუბს შორის.

**ცოტა რამ კლუბის წევრების შესახებ**

- **მადონა ჩიტაიშვილი:** „მინდა, საზოგადოება გრძნობდეს პოლიტიკაში ქალის ჩართულობის აუცილებლობას“

**თანამშრომლობა გრძელდება**



ნანა თავდუმადე



ირინა საჯაია

გრძელდება თანამშრომლობა ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბსა და ოზურგეთის საკრებულოს წევრებს შორის.

ნანა თავდუმადე და ირინა საჯაია ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები არიან.

ირინა საჯაია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა, ნანა თავდუმადე კი საზოგადოებასთან, მედიასთან და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსია.

ვინაიდან დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო საკრებულოს წევრი ქალბატონები

ქალთა სპეციალტიკაში №2

# ოფიციური - მუშაობის მუშაობა, თანამშრომლობა

დაიბადა ოზურგეთში, 1986 წელს სოხუმში დაამთავრა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სწავლული აგრონომის სპეციალობით. მისი დამატებითი სპეციალობა აგრონომ-დეკორატორია.

მუშაობს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში მთავარ სპეციალისტად.

### - თქვენი აზრით, რას შეცვლის ქალთა აქტიურობა პოლიტიკაში?

- მიმაჩნია, რომ ქალი უნდა ემსახურებოდეს ქვეყანას, ხალხს და გარკვეული ნვლილი შეიტანოს ქვეყნის აღმშენებლობაში. პოლიტიკაში აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული ქალის ცივი გონება, სხარტი აზროვნება, ინტუიცია, კომუნიკაბელურობა.

თავისი თვისებების წყალობით ქალს შეუძლია აქტიურად ჩაებას პოლიტიკაში, პარალელურად - მიხედოს ოჯახსაც, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალები მხოლოდ წინასწარჩვენოდ ახსენდებათ. დღევანდელ პოლიტიკაში ქალის დეფიციცია. საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იზრუნოს გენდერული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

### - და მაინც, ამდენი თვისების მიუხედავად, ქალები მაინც ვერ იმარჯვებენ არჩევნების დროს, რა ბარიერებია?

- არსებობენ ქალი ლიდერები, რომლებიც, თავიანთი შესაძლებლობების მიუხედავად, ყურადღების მიღმა რჩებიან, რასაც სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ზოგჯერ არ არის საზოგადოების მხარდაჭერა, ხშირად ოჯახი არ უჭერს მხარს ქალს ან ქალი ვერ ავლენს სათანადო მიზანდასახულობას.

### - თქვენ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი ხართ. რას იტყოდით, რამდენად ნაყოფიერია კლუბის მუშაობა?

- ამომრჩეველ ქალთა კლუბმა აქტიური ქალბატონები უნდა მოიზიდოს, ასეთ ქალებს ჩვენ უნდა მივცეთ გზა პოლიტიკისკენ, რათა ჩვენი თანადგომით ქალებმა დაიკავონ ადგილი საკანონმდებლო ორგანოებში, ადგილობრივ თვითმმართველობაში თუ პარლამენტში.

მივესალმები კლუბის არსებობას, მომწონს მისი მუშაობა თავისი ფორმით და შინაარსით. ვფიქრობ, კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და გააქტიურდეს ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერა ლიდერ ქალთა წარმოსაჩენად.

### - რა პრობლემებია თქვენს რეგიონში?

- დიდ პრობლემად მიმაჩნია უმუშევრობა, რის გამოც, პირველ რიგში, ქალები ითრგუნებიან. ინგრევა ოჯახები, ქალების უმრავლესობა მიდის საზღვარგარეთ ლუკმა-პურისთვის. საქართველოდან გადიან დასაოჯახებელი ახალგაზრდები. სავალალო მდგომარეობაშია ჩვენი გენოფონდი. დაუცველნი არიან დასაქმებული ადამიანებიც, რადგან ასაკობრივი ცენზის გამო სამუშაო ადგილის დაკარგვა უნევთ. 30-35 წელს გადაცილებულ ადამიანს უკვე უჭირს სამსახურის პოვნა. ძალიან მაღალია საპენსიო ასაკიც.

სამუშალო ასაკის ადამიანები, რომლებიც დასაქმებულები არიან, ანუ შემთხვევით არიან შემორჩენილი სამსახურებში, ღვთის ანაბარა რჩებიან. ძვირადღირებულია განათლება, ჯანდაცვა, მშობიარობა, ჭირს ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად უფრო მეტი ისეთი პროგრამაა საჭირო, რომელიც მოსახლეობის ღარიბ თუ საშუალო ფენებს დაეხმარება.

### - რას უსურვებდით ქალბატონებს?

- ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ქალებს, რათა ისინი სპეციალობების მიხედვით დასაქმდნენ, მოახდინონ საკუთარი თავის, შესაძლებლობების რეალიზება.

ჩემი სურვილია, მეტი ქალი იყოს პოლიტიკაში, საზოგადოებაში და, საერთოდ, საზოგადოება უნდა გრძნობდეს პოლიტიკაში ქალის ჩართულობის აუცილებლობას. თუკი ამ კუთხით მივუდგებით, მერწმუნეთ, დემოგრაფიული მდგომარეობაც გაუმჯობესდება საქართველოში და სოციალურ-ეკონომიკურიც!

ძლიერ, ერთიან და განახლებულ საქართველოში ცხოვრებას ვისურვებდი, ქალთა პროფესიულ და პოლიტიკურ წინსვლას - ძლიერი მამაკაცების გვერდით.

ქალთა სსიპ პოლიტიკაში უმჯ

●  
**მანი ბერიძე:** „ქალები ხშირად თავს იკავებენ და არ იყრიან კენჭს არჩევნებში. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ქალებს პოლიტიკა არ აინტერესებთ, მით უმეტეს, გურულ ქალებს“

ფსიქოლოგი მაია ბერიძე ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის გურიის რეგიონულ კომიტეტს წარმოადგენს.

საინტერესოა, როგორ აფასებს ის ამომრჩეველ ქალთა კლუბის მუშაობას: - კლუბის საქმიანობის შესახებ ბევრი რამ ვიცი, ვიცი, რომ კლუბი ინტენსიურად მუშაობს ქალთა უფლებების დაცვისათვის. კლუბს ვუსურვებდი, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს და რაც შეიძლება მეტ ქალს დაეხმაროს საკუთარი თავის რეალიზებაში.

- **ეცნობით და კითხულობთ თუ არა ფონდი „სოხუმის“ ჟურნალ „ქალთა ხმას“?**

- ხშირად ვკითხულობ ჟურნალ „ქალთა ხმას“, კარგი საინფორმაციო საშუალებაა და მისი გავრცელების არეალიც საკმაოდ ფართოა.

- **რაც შეეხება თემას – ქალი და პოლიტიკა, რა აზრისა ხართ, საჭიროა თუ არა გენდერული ბალანსი პოლიტიკაში?**

- გენდერულ ბალანსზე ლაპარაკი ზედმეტია. როცა ქალი პოლიტიკაში მიდის, ის მიდის გარკვეულ რისკზეც – ოჯახი, ბავშვები და, ალბათ, უფრო მთავარი - ქართული მენტალიტეტი. ამის გამო ქალები ხშირად თავს იკავებენ და არ იყრიან კენჭს არჩევნებში. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ქალებს პოლიტიკა არ აინტერესებთ, მით უმეტეს, გურულ ქალებს. მიუხედავად ამისა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 37 დეპუტატიდან მხოლოდ სამია ქალი...

- **არაერთი პრობლემა გამოიკვეთა, მათ შორის პოლიტიკაში ქალის დეფიციტიც, როგორ დავძლიოთ ეს პრობლემა?**

- ამაზე მთელი მსოფლიო მუშაობს, ეს ხომ მხოლოდ ქართული პრობლემა არ არის, თუმცა ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით საქართველოში გარკვეული წინსვლა იგრძნობა. მახსოვს, 10 წლის წინათ, გენდერულ თანასწორობასთან და ქალთა უფლებებთან დაკავშირებით როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მოსახლეობას, ქალებსაც კი. დღეს, საბედნიეროდ, ამ თემაზე ირონიით აღარ საუბრობენ.

საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს საინფორმაციო კამპანია, გაიზარდოს საზოგადოების ცნობიერების ხარისხი. ამ გზით თანდათანობით ქალთა პრობლემებიც დაიძლევა.

●  
**ნანა სარიშვილი:** „ქართველ ქალს აქვს უნარი და შესაძლებლობა, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეასრულოს გადამწყვეტი როლი და თქვას საკუთარი სათქმელი“

- დავიბადე ოზურგეთში. დავამთავრე ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლა 1987 წელს, 1994 წელს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. ამავე წლიდან ვმუშაობ ოზურგეთის მეხუთე საჯარო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

- **ერთი წელია, რაც აქტიურად ხართ კლუბის მუშაობაში ჩართული, რას ნიშნავს თქვენთვის კლუბის წევრობა?**

- მონაწილეობა მივიღე უამრავ შეხვედრასა თუ სემინარში. ჩემთვის კლუბის წევრობა ძალიან სასიამოვნოა, რადგან აქ ვაფიქსირებთ საკუთარ აზრს, პრობლემებს და ვცდილობთ, ჩვენი ხმა მივანვიდინოთ საზოგადოების სხვადასხვა ფენას.

- **პროფესიით ისტორიკოსი ბრძანდებით, ისტორიულად, ქართველი ქალები იდგნენ ქვეყნის სათავეში...**

- მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში ქალთა სიმცირე გარკვეულ პრობლემებს უქმნის ჩვენს საზოგადოებას. აუცილებელია ამ კუთხით ქალების გააქტიურება. მართალია, ქალბატონები გარკვეულ თანამდებობებზე ინიშნებიან, თუმცა ეს არასაკმარისია. მე ისტორიკოსი ვარ და წარსულშიც შემიძლია გადავინაცვლო, როცა ქალი მე-12 საუკუნეში, ანუ თამარ მეფე წამყვანი ფიგურა იყო არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაშიც...

- **ეს იყო წარსულში, რას უსურვებდით თანამედროვე ქართველ ქალს?**

- ქართველ ქალს აქვს უნარი და შესაძლებლობა, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეასრულოს გადამწყვეტი როლი და თქვას საკუთარი სათქმელი, სწორედ ამას ვუსურვებდი ქართველ ქალებს...

მანანა ლეჟაველი

# ბათუმი: შესვლა საკრებულოში

ამომრჩეველ ქალთა კლუბებზე ვინვევთ საკრებულოს წევრ ქალბატონებს, ვეცნობით მათ მუშაობას და ვაცნობთ ჩვენსას.

ამჯერად ჩვენ ბათუმის საკრებულოში და მისი წევრი ქალბატონებით დავინტერესდით.

ზამთრის ცივ და თოვლიან დღეს ბათუმის საკრებულოში თბილი და საქმიანი შეხვედრა მოგვინწყევს მანანა ილურიძემ, ნაზი ფუტკარაძემ და ეკა თარგამაძემ.

ისინი კარგად იცნობენ ფონდი „სოხუმის“ საქმიანობას, ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის თემაზე გამართულ ტრენინგს და მზად არიან, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ ამომრჩეველ ქალთა კლუბთან.

- 

ბათუმის საკრებულოს 25 წევრს შორის ხუთი ქალბატონია.

ნაზი ფუტკარაძე გვითხრა: „ჩვენს ქალაქში ქალებს დიდი პოტენციალი გააჩნიათ - ისინი ზოგჯერ ბევრად უფრო გაბედულები არიან, ვიდრე მამაკაცები. ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს საკრებულოში, აქ ურთიერთპატივისცემად, ვუსმენთ ერთმანეთს, ვმსჯელობთ და ვიღებთ გადაწყვეტილებას.“

დღეს ქალებს ორი კომისია გვაბარია - განათლება და კულტურა. მეტი ბალანსი რაღა გინდათ! წინა წლებში ქალი საერთოდ არ იყო ბათუმის საკრებულოში. ვფიქრობ, ქალებმა დავიმსახურეთ ნდობა ჩვენი აქტიურობით, საზოგადოებასთან თანამშრომლობით. ვცდილობთ მოსახლეობას დავეხმაროთ აქტუალური პრობლემების მოგვარებაში.

ნაზი ფუტკარაძე ბათუმელია, დამთავ-

რებული აქვს იურიდიული და სამედიცინო ფაკულტეტები. საკრებულოში განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის წევრია.

დავინტერესდით, რას აკეთებენ:

„განვიხილავთ შემოტანილ პროექტებს, კომისია წყვეტს, ესა თუ ის საკითხი უნდა გავიდეს სხდომაზე განსახილველად თუ არა. რადგან განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კუთხით ვმუშაობ, ამიტომაც ამ სფეროებთან მიწვევს მეტწილად შეხება.“

ჩემი მუშაობის პერიოდში შეიქმნა სპორტის დეპარტამენტი, ადრე ის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. ჩატარდა სამთო-სათხილამურო ტურნირი გომარდულში.

გახსნა ოთხი ვარსკვლავი საპატიო ბათუმელებისათვის. ეს ტიტული მიენიჭათ თამარ სულხანიშვილს, მანუჩარ შერვაშიძეს, ნინო საკანდელიძესა და იური ცანავას - დიდი თეატრის წარმომადგენლები, ჩვენი ქალაქის კოლორიტები არიან. ჩვენ გავუწიეთ რეკომენდაცია ბათუმში ევროპის ჩემპიონატის ჩატარებას ქალთა ფრენბურთში.

იგეგმება სპორტული კომპლექსის მშენებლობა, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ქალთა სპორტს“.


- 

ეკა თარგამაძეს, როგორც თავად ამბობს, ბათუმის საკრებულოში მამაკაცური ფუნქციები აქვს: „ბიუჯეტთან დაკავშირებულ პროცესებს ვაკონტროლებთ, მონაწილეობას ვიღებთ ბიუჯეტის დაგეგმარებაში. ჩემთვის ჩვეულ გარემოში ვარ. წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ვმუშაობდი, მქონდა მრავალფუნქციური სამსახურები.“

ქალთა სმა პატივცემი 2022



ბათუმის ამომრჩეველ ქალთა კლუბი მოქმედებს 2006 წლიდან. კლუბის ლიდერები არიან ეთერ დიასამიძე და ნათია კიკვაძე. შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ქალაქის პროფკავშირების შენობაში.



ნათია ფუტყარაძე



ეკატერინე თარგამაძე



მანანა ილურიძე

ეკა თარგამაძე საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ ჭკვიანი და გამოცდილია. გაოცება ვერ დავმალეთ, როდესაც ეკას ბიოგრაფია წავიკითხეთ.

1975 წელს დაიბადა. 1997 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი, მერე კი - ასპირანტურა, მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტი.

2010 წლიდან არის თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს წევრი და საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე, მანამდე იყო ბათუმის მერის თანაშემწე. მუშაობდა ურბანულ ინსტიტუტში ექსპერტ-კონსულტანტად საბიუჯეტო და საფინანსო საკითხებში, ევრაზიის ფონდში და ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალურ ცენტრში იყო ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში.

ქალაქ ბათუმის მერიაში საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს ხელმძღვანელობდა. 2006-2008 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ლექტორი იყო. 2004-2006 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის უფროსად მუშაობდა. 1999-2004 წლებში კი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროში.

1999 წელს იყო საგარეო ვაჭრობისა და სოციალური საკითხების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, შემდეგ - მინისტრის თანაშემწე. 2001-2004 წლებში მიკროეკონომიკისა და ეკონომიკური რეფორმების განყოფილების უფროსია, 2002-2006 წლებში - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი სხვადასხვა დისციპლინაში.

ფლობს რუსულს, ფრანგულს, ინგლისურს, მონაწილეობდა სხვადასხვა ტრენინგ-სემინარში, კვლევებში. არის დაოჯახებული.

ასეთი მდიდარი ბიოგრაფია აქვს ამ ახალგაზრდა ქალბატონს. ამის მიუხედავად, საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს, ჩემი შეფასება ჩემი განვლილი გზააო, ამბობს.

პოლიტიკურ სარბიელზე უმცირესობაში მყოფი, გენდერული თანასწორობის მომხრეა,

რადგან, მისი აზრით, ქალის როლი უდიდესია პოლიტიკაში.

მანანა ილურიძე ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიურობით პროფესიულ საქმიანობაში. იყო ჯანდაცვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სადაც 2008-2010 წლებში მუშაობდა.

2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში საკუთარი შესაძლებლობის კიდევ უფრო ფართოდ რეალიზების საშუალება მიეცა მას შემდეგ, რაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიით გახდა თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს დეპუტატი. არის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის და ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი.

ქალბატონმა მანანამ განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნა, რომ პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, საკრებულოს წევრები აქტიურად თანამშრომლობენ და ერთობლივი ძალებით ცდილობენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას.

ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრი ნაზიბროლა ქობულაძე საკრებულოში გამოვიდა ინიციატივით - ბათუმში მცხოვრები ყველა ქალისთვის დაწესდეს უფასო მშობიარობა.

ბათუმში საკმაოდ წარმატებულად მუშაობს სოციალური პროგრამები, მათ შორის - დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს, პენსიონერებს, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

ქალაქში ყურადღება ექცევა კულტურის, სპორტის და ხელოვნების განვითარებას და ამ სფეროში მოღვაწე ახალგაზრდების წახალისებას.

ბათუმის საკრებულოს დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ დაგროვილი გამოცდილების გაზიარების მიზნით სასარგებლო იქნებოდა სხვა ქალაქების საკრებულოს წევრ ქალებთან შეხვედრა.

მანანა ლუჟაშვილი  
მირანდა გვანცელაძე

# სონი პრობლემების მოგვარების გზებს სახავენ

**სონი. ამომრჩეველ ქალთა კლუბის მორიგი შეხვედრა.**

როგორც ყველა შეხვედრაზე, ახლაც ვერ აუვლიან გვერდს დევნილთა პრობლემებს, რადგან კლუბის წევრთა დიდი ნაწილი დევნილია და სონის სამხედრო დასახლების კომპაქტურ ცენტრში ცხოვრობს.

აფხაზეთიდან დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის პროგრამის ფარგლებში სონის სამხედრო დასახლებაში 17-ვე ობიექტი გარემონტდა. დევნილთა თქმით, დღემდე ხარვეზები, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს ისინი ნაკლებად უჩივიან, რადგან ადრინდელთან შედარებით საცხოვრებელი პირობები საკმაოდ გაუმჯობესდა.

აქ უმუშევრობა ნომერ პირველი პრობლემაა. ადამიანთა მცირე ნაწილი თავს ვაჭრობით ირჩენს. ქალები დასაქმებულნი არიან უმეტესად საცხოვრებელში. მამაკაცების უმრავლესობა უმუშევარია. უსახსრობის გამო დევნილთა დიდი ნაწილი პურს „ნისიად“ ყიდულობს.

დღემდე დიდ პრობლემად რჩება წყლის საკითხი. დალი დაწელიას თქმით, არ შესრულდა დაპირება 24-საათიანი წყალმომარაგების შე-

სახებ - წყალი მხოლოდ ღამის საათებში მიენოდება.

პრობლემები აქვთ ელექტროენერჯის მოხმარების მხრივაც. მერი ჯიშკარიანს ელექტროენერჯის გადასახადს სახელმწიფო უხდის და, მისივე თქმით, არა აქვს გადახარჯვა, მაგრამ ელექტროენერჯია ჩაუჭრეს. დიდი მცდელობის მიუხედავად, ქალბატონმა მერიმ ვერ იპოვა სამართალი და დღემდე ელექტროენერჯის გარეშე ცხოვრობს.

აღინიშნა, რომ დევნილთათვის არ არის ხელმისაწვდომი ბუნებრივი აირი.

როგორც ამბობენ, მოსაწესრიგებელია შემოგარენი.

- შეგვიპირდნენ ეზოების გამწვანებას, ხეების დარგვას, ბავშვებისათვის გასართობი საშუალებების დამონტაჟებას, მაგრამ დღემდე არ შესრულებულა ეს დანაპირებიც! - ნანული ცაავა.

პრობლემებზე საუბრობენ ახალგაზრდებიც:

- თბილისში დაწესებული სატრანსპორტო შეღავათები სტუდენტებზე. მე ქუთაისში ვსწავლობ, მაგრამ არანაირი სატრანსპორტო შეღავათი არ გვაქვს. უსახსრობის გამო ახალგაზრდებს უჭირთ ყოველდღიურად მგზავ-

ქალთა სმა პატივცემულნი



რობა. იქნებ ადგილობრივ-მა ხელისუფლებამ გაითვალისწინოს ეს პრობლემა, - თამუნა ფარლავა.

განწყობა მეტწილად პესიმისტურია: „რა აზრი აქვს ბრძოლას, ჩვენ მაინც არავინ მოგვისმენს, იმედი გვაქვს დაკარგული,“ - ნა-ნული მაისია.

„ჩვენთან კანონი არ კანონობს,“ - თამუნა ფარლავა.

თუმცა იმედს მაინც არ კარგავენ, გამოსავალს გააქტიურებაში, დასაქმებასა და ჩართულობაში ხედავენ. პრობლემების გადაწყვეტის თავისებურ გზებს სახავენ. საჭიროდ მიიჩნევენ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან და დევნილთა სამმართველოსთან.

საინტერესო წინადადებები აქვთ:

- შევიმუშავოთ პრობლემების პაკეტი და მივანოდოთ ადგილობრივ თვითმმართველობას.

**ხონის ამომრჩეველ ქალთა კლუბი მოქმედებს 2009 წლიდან. კლუბის ლიდერია შუშანა მირცხულავა. შეხვედრები ტარდება ყოველთვიურად ფონდი „სოსუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრში (მეოთხე საჯარო სკოლა).**

- ჩვენს შეხვედრებზე მოვიწვიოთ საკრებულოს წევრები და გავაცნოთ ჩვენი პრობლემები.

პრობლემების ადვოკატირებისა და ლობირების მეთოდს მიესალმება ფონდი „სოსუმის“ იურისტი ინგა მაღლაფერიძეც, რომელიც შეკრებილთ სწორედ ამ მეთოდების პრაქტიკულ

გამოყენებას ასწავლის. აღნიშნავს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას კანონი ავალდებულებს, ითანამშრომლოს ხალხთან და ჩააბაროს ანგარიში ამა თუ იმ საქმიანობის შესახებ...

ხონის ამომრჩეველ ქალთა კლუბი შემდგომში უფრო მეტად გააქტიურებას აპირებს შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობისა და ამ გზით პრობლემების მოგვარებისათვის.

**მანანა ლეჟაშვილი**

**ინსტრუქციები**

- აზერბაიჯანში 2009 წელს ჩატარებული მუნიციპალური არჩევნების დროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა რაოდენობა 26 პროცენტამდე გაიზარდა, მაშინ როცა 2005 წელს მათი რაოდენობა 4 პროცენტი იყო. გასულ წელს ეუთოს ბაქოს ოფისმა მოანყო კონფერენცია თემაზე „ქალთა როლი ადგილობრივ თვითმმართველობაში“. მასთან ერთად ორგანიზატორები იყვნენ: ქალების, ოჯახებისა და ბავშვების პრობლემებზე მომუშავე სახელმწიფო კომიტეტი, საზოგადოებრივი გაერთიანება „ქალი-ლიდერი“ და დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტი.
- კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მილი მეჯლისის დეპუტატი ქალები, მუნიციპალიტეტის წევრები, ქალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე საზოგადოებრივ პროცესებსა და სახელმწიფოს მართვაში აქტიურად ჩართული ქალები.
- თავის გამოსვლაში ეუთოს ბაქოს ოფისის ხელმძღვანელმა ბილგე ჯანკორელმა აღნიშნა ქალის დიდი როლი საზოგადოებასა და პოლიტიკურ პროცესებში.
- „დარწმუნებული ვარ, ისევე როგორც 2009 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე, აზერბაიჯანელი ქალები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც და წარმატებასაც მიაღწევენ,“ - აღნიშნა ჯანკორელმა.
- ითქვა, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონში ჩატარდება ლიდერობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შემსწავლელი კურსები. კურსების ძირითადი მიზანი იქნება პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლება ქვეყანაში და ქალთა ჯგუფების როლის სრულყოფა საზოგადოებრივ საქმეებში.

ამომრჩეველ ქალთა კლუბების საქმიანობაში გასული წელი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა. კლუბის წევრებმა ქუთაისში, ოზურგეთში, ხონში, წყალტუბოში, ხობში, ფოთსა და ბათუმში ის პრობლემები დასვეს, რომლებიც, ძირითადად, ქალებს ეხებათ და აწუხებთ.

კლუბების მუშაობა მხოლოდ პრობლემათა ჩამონათვალთ არ შემოფარგლულა. ფონდ „სოხუმში“ ამომრჩეველ ქალთა ლიგა შეიკრიბა და შემუშავებული პრობლემების კლასიფიკაცია მოახდინა. მომდევნო ეტაპზე მუშაობაში აქტიურად ჩაერთო ფონდი „სოხუმის“ იურისტ-ექსპერტთა ჯგუფი.

ექსპერტთა მუშაობა გამიზნული იყო იქითკენ, რომ შეემუშავებინათ საკანონმდებლო ინიციატივა, ცენტრალურ სტრუქტურებში ქალთა პრობლემების ლობირების მიზნით.

პრობლემების დამუშავების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა არჩევანი ყველაზე აქტუალურზე შეაჩერა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საკანონმდებლო ინიციატივა: **მშობიარობის დროს სახელმწიფოს მხრიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარება უნდა განისაზღვროს 600 ლარის ოდენობით საქართველოს მოქალაქე ყველა კატეგორიის ქალისათვის.**

რა განაპირობებს საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობას?

აღნიშნული ინიციატივის განმარტებით ბარათში აღნიშნულია:

„ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება და გენდერული თანასწორობის მიღწევა პირდაპირ უკავშირდება მათი სოციალური დაცვის მაღალ ხარისხსა და რეპროდუქტიული შრომისადმი პატივისცემის გამოხატულებას.

სამწუხაროდ, საქართველოში არსებული პოლიტიკით ვერ ხერხდება ქალთა სოციალური უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მშობიარობისა და დეკრეტული შვებულების ანაზღაურებასთან

მიმართებაში. არსებული მდგომარეობის გამო განსაკუთრებით ის ქალები ზარალდებიან, რომლებიც დასაქმებულნი არ არიან და არსებული კანონმდებლობით, მშობიარობის ხარჯები არ უნაზღაურდებათ. ეს ყოველივე, თავის მხრივ, მოქმედებს ზოგად დემოგრაფიულ ფონზე, რომელიც საკმაოდ საგანგაშოა და ექსპერტების გაანგარიშებით, საქართველოს 2050 წლისთვის ე. წ. „დემოგრაფიულ ორმოს“ უქადის.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შეინიშნებოდა შობადობის ზრდის ტენდენცია (სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა შეადგენდა 2005 წ. - 46 512, 2006 წ. - 47 795, 2007 წ. - 56 565, 2009 წ. - 63 377), უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში კიდევ უფრო დამძიმებული სოციალური ფონი არახელსაყრელ გარემოს უქმნის დაუსაქმებელ ქალებს ხელმოკლე ოჯახებიდან, ამიტომ აღნიშნული ინიციატივა სერიოზული სტიმული გახდება იმ ქალებისათვის, რომლებიც არ მუშაობენ და ოჯახების მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო იძულებული ხდებიან, უარი თქვან შვილის გაჩენაზე.“

აღნიშნული ინიციატივა საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას გაეგზავნა.

ფონდი „სოხუმის“ იურისტ-ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე თამარ ფაჩულია მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ინიციატივის მიღების ძირითადი მიზანია ქალთა უფლებების დაცვა, მათი მხარდაჭერა და საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხის - დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა.

იგივე მოსაზრება აქვს ამავე ჯგუფის იურისტ ფიქრია ქლიბაძესაც. მისი აზრით, მსგავსი ინიციატივის ლობირება ბევრ ქალს პრობლემის მოგვარებაში დაეხმარება და შობადობის რიცხოვრივი მაჩვენებლის გაზრდასაც ხელს შეუწყობს.

აღნიშნულ ინიციატივას აქტიურად უჭერენ მხარს ქალთა ლიგის წევრებიც.

- ქალებს უამრავი პრობლემა აქვთ, მაგ-

რამ ამ პრობლემის ლობირება აუცილებელია და მას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება უმაღლეს საკანონმდებლო სისტემაშიც, რადგან მისი მოგვარება სახელმწიფოს ინტერესებში შედის, - ქეთევან ქადიეშვილი (ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი).

- ერთჯერადი 600-ლარიანი დახმარება იმ ქალებს უფრო სჭირდებათ, რომლებიც არ მუშაობენ. იმედი მაქვს, ამ ინიციატივით სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებიც დაინტერესდებიან, - ეთერ

დიასამიძე (ბათუმის ამომრჩეველ ქალთა კლუბის ლიდერი).

ფონდი „სოხუმი“ იმედოვნებს, რომ გაგრძელდება კონსულტაციები პოლიტიკურ პარტიებთან, საქართველოს პარლამენტის სპიკერთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, პარლამენტარ ქალებთან და საკანონმდებლო ინიციატივა კანონად იქცევა.

ნათუნა გოგუა

№2

ქალთა სპეციალური პოლიტიკა

## ფონდი „სოხუმი“- კვლევის მონაწილე

**გორბი - საერთაშორისო ცენტრი (GORBI) წლების მანძილზე მუშაობს საქართველოში მარკეტინგული და საზოგადოებრივი აზრის კვლევის სფეროში. იგი ემსახურება ადგილობრივ და უცხოელ დამკვეთებს - სხვადასხვა ორგანიზაციას, მედია ინსტიტუტს...**

რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევები ხორციელდება ფოკუს ჯგუფების, ჩალრმავებული ინტერვიუების, გამოკითხვების და სხვა მეთოდების საშუალებით.

ერთ-ერთი ასეთი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა 25 იანვარს, სადაც მინვეული იყო ფონდი „სოხუმიც“. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სხვადასხვა რეგიონიდან (გორი, ბოლნისი, გურჯაანი, ახალქალაქი, ახალციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი).

ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა მსოფლიო ბანკის დაკვეთით და მის მონაწილეებს საშუალება მიეცათ, საკუთარი აზრი დაეფიქსირებინათ შემდეგ საკითხებზე: ქვეყნის ზოგადი განვითარება, ოჯახში ძალადობის პრობლემა, ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობა, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა ადგილობრივ მთავრობასთან.

ქვეყნის საერთო განვითარების დონე მონაწილეთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მთელი რიგი სოციალური პრობლემების მოსაგვა-

რებლად, მათ შორის პირველ ადგილზე უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი დგას.

ოჯახში ძალადობა სამწუხარო რეალობად რჩება მთელი ქვეყნის მასშტაბით. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ღონისძიებების გატარება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული კანონის ეფექტური განხორციელებისთვის. რეგიონებში შესამჩნევია ინფორმირების დაბალი დონე.

რაც შეეხება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დაბალ დონეს, ერთხმად აღინიშნა, რომ მხოლოდ ქალების აქტიურობა არ არის საკმარისი, უნდა იყოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ნება, რათა ქალებს მიეცეთ თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება. აუცილებელია ისეთი დროებითი მექანიზმის დაწესება, როგორცაა კვოტირება.

ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე ისაუბრეს მონაწილეებმა ფოკუს-ჯგუფის დასკვნით ნაწილში. ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელმა ადგილობრივ მთავრობასთან მუშაობის გამოცდილება გაუზიარა მონაწილეებს და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობის დაინტერესება საკრებულოს საქმიანობით, რადგან ეს ორგანო პასუხს აგებს ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაზე.

საინტერესოა კვლევის საბოლოო შედეგები, რაც მოგვცემს საშუალებას, შევაფასოთ ქვეყანაში არსებული ზოგადი სიტუაცია.

მირანდა გვანცელაძე

# ბენდელი ასპექტების მონიტორინგი ადგილობრივი მთავრობის საქმიანობაში

ქალთა სსიპ პოლიტიკაში  
JMS

ქუთაისის საკრებულოში 25 ნევრს შორის მხოლოდ ერთია ქალი, წყალტუბოს საკრებულოშიც ერთი ქალია. ფოთში ორი ქალია, ერთით მეტია ოზურგეთში. ბათუმის საკრებულოში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არც ერთი ქალი არ იყო, საბედნიეროდ, დღეს იქ ხუთი ქალბატონია. ამდენივე ქალია ხობის საკრებულოში. რაც შეეხება ხონს, იქაური საკრებულო სრულიად მამაკაცურია!

ქალები უმცირესობაში არიან ადგილობრივ თვითმმართველობაში, თუმცა, თუკი საკრებულოს სხდომებს დავესწრებით, არათუ გენდერულ უთანასწორობას წავაწყდებით, იმასაც გავიგებთ, რომელი სფეროებია პრიორიტეტული საკრებულოს წევრი მამაკაცებისათვის.

მაგალითად ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის სხდომა შეგვიძლია მოვიყვანოთ. სხდომას აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონები ესწრებიან, ფონდი „სოხუმის“ მიერ მომზადებული მონიტორინგები: აწყელა ჩიხლაძე, ნატალია თოდუა, ეკა ოჩხიკიძე, დალილა თამაზოლი და თამარ მესხია. მათთან საუბარში დავასკვნით, რომ საკრებულოს სხდომაზე გენდერული უთანასწორობა შესამჩნევია და მამაკაცებისათვის პრიორიტეტულია ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის სფეროები.

როგორც მონიტორი ქალბატონები აღნიშნავენ, ყურადღება ეთმობა ელექტროენერგითა და წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფას, გაზიფიცირებას, ქუჩებისთვის სახელების მინიჭების საკითხს, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სანარმოებისა და ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობას. დევნილი ქალბატონები მსგავსი თემების წამოწევენ, რა თქმა უნდა, მიესალმებიან: ამ პრობლემების მოგვარება ერთნაირად მნიშვნელოვანია ორივე სქესის წარმომადგენლისათვის, თუმცა აღნიშნავენ, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი გარკვეულ ყურადღებას დაუთმობდნენ კულტურის, განათლებისა თუ ჯანდაცვის სფეროებს.

2010 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთიდან დევნილი ქალების მეორე ჯგუფი ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას დაესწრო. განსახილველი თემები აქაც დაახლოებით

იგივეა. თამთა ბენიძისა და ელისო ბენდელიანის თქმით, საკრებულოს სხდომაზე სულ 11 საკითხია გამოტანილი, რომელთაგან მნიშვნელოვანია ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროები.

არც ერთი სიტყვა ქალთა პრობლემებზე - უფრო მეტიც, აქ სრულად დარღვეულია გენდერული ბალანსი, საკრებულოს ყველა წევრი მამაკაცია!

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომასაც დაესწრნენ დევნილი ქალები: ზაირა კოპალიანი, ნადეჟდა კოპალიანი და მარინა ჭანტურაია. მათი თქმით, სხდომაზე 20 საკითხი განიხილეს, მათ შორის აქტიუალურია სარემონტო სამუშაოები სხვადასხვა დაწესებულებაში - სკოლებში, საგამოფენო დარბაზებში. პრიორიტეტულია გზისა და წყალმომარაგების საკითხი, მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემა. სამაგიეროდ, არც ერთი სიტყვა დევნილებთან მიმართებაში!

ეს მუშაობა ტარდება პროექტის „ადგილობრივ საზოგადოებაში დევნილ ქალთა ინტეგრაციის ხელშეწყობა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგში ჩართვის გზით“ ფარგლებში. პროექტი გასული წლის ოქტომბრიდან დაიწყო ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით.

საქმიანობა ხორციელდება ქუთაისში, წყალტუბოსა და ხონში. ეს იმ მრავალწლიანი მუშაობის განვითარება და შევსებაა, რომელსაც ფონდი „სოხუმი“ წარმართავს დასავლეთ საქართველოში ამომრჩეველ ქალთა კლუბებისა და პოლიტიკური პარტიების წევრი ქალების გააქტიურების გზით.

„ეს კონკრეტული სამუშაო მეტად მნიშვნელოვანია სამი ქალაქის გენდერული სიტუაციის შესწავლისათვის. ჩვენ არა ვართ რევიზორები, არ ვაკონტროლებთ საკრებულოების ბიუჯეტს, ჩვენ მონიტორები ვართ და გვაინტერესებს, როგორაა ამ ბიუჯეტებში გათვალისწინებული გენდერული საკითხები. ჩვენი ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის ხასიათისაა“, - აღნიშნავს პროექტის კოორდინატორი მერი გელაშვილი.

მონიტორების მუშაობაზე გვიამბობს პროექტის ასისტენტი ნატრული ნაჭყებია:

- მონიტორინგის ჩატარებისათვის თითოეულ ქალაქში ჩამოყალიბდა სამი მიმართულება. პირველი ჯგუფი მოამზადებს გენდერულ ანალიზს სოციალური პროექტების და ჯანდაცვის სფეროში, მეორე ჯგუფი - განათლებისა და პროფესიული მომზადების გენდერულ ანალიზს გააკეთებს, ხოლო მესამე - გენდერულ ანალიზს საზოგადოებრივი აზრისა და რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე.

მონიტორინგში ჩართული ქალბატონები აქტიურად თანამშრომლობენ ხონის, ქუთაისისა და წყალტუბოს ამომრჩეველ ქალთა კლუბებთან.

იგეგმება ინტერვიუს ჩატარება საკრებუ-

ლოებისა და გამგეობების სამუშაო გეგმების შეფასებისათვის. გაიმართება შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელებთან, დეპუტატ ქალებთან.

მოეწყობა მრგვალი მაგიდები საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის დევნილთა ჯგუფების მონაწილეობით, რათა გავაცნოთ მათ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მონიტორინგის შედეგები.

იგეგმება შეხვედრები აზერბაიჯანსა და სომხეთში“.

მანანა ლუგაშვილი

ქალთა სსმ პოლიტიკაში 2012



**ინსტრუქციები**

- ვიქტორ იანუკოვიჩის ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად გაუქმდა ოჯახის, ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეების სამინისტრო. ამგვარად, უკრაინაში გაქრა ერთადერთი ორგანო, რომელიც პასუხს აგებდა სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის შემუშავებაზე. ამის შესახებ განაცხადეს ქალთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა წერილში გაეროს განვითარების პროგრამების ადმინისტრატორის ჰელენ კლარკის მისამართით.
- ქალთა სიმცირე მინისტრებისა და საოლქო ადმინისტრაციების მეთაურთა თანამდებობებზე, ქალთა ძალიან დაბალი პროცენტული მაჩვენებელი პარლამენტში (7,6%) არანაირად არ უწყობს ხელს გენდერული თანასწორობის მიღწევას. პარლამენტმა უკვე ორჯერ თქვა უარი კანონპროექტზე გენდერული კვოტების შესახებ, მაგრამ დღეს კვოტების გარეშე ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია, - აღნიშნეს ქალებმა თავიანთ წერილში.
- გაეროს ანუხებს უკრაინელ ქალთა ბედი. ამის შესახებ განაცხადა ჰელენ კლარკმა უკრაინის ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ.
- უკრაინის მთავრობაში არ არის არც ერთი ქალი. ეს მაბრუნებს 1981 წელთან, როცა მე ვიყავი ერთ-ერთი იმ რვა ქალს შორის, რომლებიც ახალი ზელანდიის პარლამენტში აირჩიეს, - აღნიშნა მან.
- კლარკმა დაარწმუნა უკრაინელი ქალები, რომ გაეროს განვითარების პროგრამა მხარს დაუჭერს უკრაინის სწრაფვას ქალებისა და მამაკაცებს შორის პარიტეტის მიღწევისაკენ.

www.mycityua.com.news.countri.

### ცოტა რამ გამოცემის შესახებ...

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ნიგნი „დემოკრატია და გამონვევა ცვლილებისთვის“ არის სახელმძღვანელო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის შესახებ. მასში თავმოყრილია NDI-ის მუშაობის 25-წლიანი გამოცდილება და მიზნად ისახავს ქალთა აქტიურობის ხელშეწყობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არჩევნებში, პოლიტიკურ პარტიებსა და მთავრობაში.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ნიგნი გამოიცა დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდის (NED) დახმარებით (სხვა ორგანიზაციებთან ერთად).

ჩავთვალეთ, რომ მკითხველისთვის - ლიდერი ქალებისათვის საინტერესო იქნებოდა სახელმძღვანელოში განხილული სხვადასხვა საინტერესო და სასარგებლო რჩევის გაცნობა.

გამოცემის წინასიტყვაობა იწყება ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის მაღლენ ოლბრაიტის სიტყვებით: „წარმატება დემოკრატიის გარეშე წარმოუდგენელია; დემოკრატია ქალების გარეშე შეუძლებელია“.

### რატომ ქალები?

მაღლენ ოლბრაიტმა არაერთხელ განაცხადა: „ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს დემოკრატიის განვითარების კუთხით, მათ შორის არის მოქალაქეთა საჭიროებებზე რეაგირება, გაზრდილი თანამშრომლობა და უფრო მდგრადი მშვიდობა“.

კოფი ანანი, გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი, აღნიშნავს: „რაც დრო გადის, უფრო ნათელი ხდება, რომ არ არსებობს განვითარების სხვა უფრო ეფექტური გზა, ვიდრე ქალების უფლებამოსილების გაზრდა. ვერც ერთი სხვა პოლიტიკა ვერ აამაღლებს ეკონომიკურ პროდუქტიულობას ან ვერ შეამცირებს ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობას. ვერც ერთი სხვა პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს ჯანსაღ კვებას და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვას, მათ შორის აივ / შიდსის პრევენციას. არც ერთი სხვა პოლიტიკა არ არის ისეთი ძლიერი, რომ მომავალი თაობებისთვის გააუმჯობესოს განათლების მიღების შესაძლებლობები.“

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის დამყარებას და გავლენას ახდენს მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხებზე და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე. არსებობს ძლიერი არგუმენტები იმისა, რომ რაც მეტი ქალია არჩეული მთავრობაში, მით უფრო მრავლადაა ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლებშიც ხაზგასმულია ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ოჯახების პრიორიტეტები, ქალ-

თა პრობლემები, ეთნიკური ჯგუფებისა და რასობრივი უმცირესობების საკითხები.

ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას აქვს დიდი და დემოკრატიული გავლენა საზოგადოებებზე, კანონმდებლობებზე, პოლიტიკურ პარტიებზე და მოქალაქეების ცხოვრებაზე, ხელს უწყობს დემოკრატიის წარმატებას.

- როცა ქალები უფლებამოსილი არიან, როგორც პოლიტიკური ლიდერები, ქვეყანაში მკვიდრდება ცხოვრების მაღალი სტანდარტები. პოზიტიური ცვლილებები ხდება განათლების, ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის კუთხით. კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგება დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობადა;
- პოლიტიკაში ქალების ყოფნა ნიშნავს იმას, რომ სათანადო დონეზეა წარმოდგენილი ქალებისა და მარგინალიზებული ამომრჩევლების პრობლემები, უკეთ ხდება რეაგირება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და მმართველობაზე;
- ქალთა ლიდერობა და კონფლიქტის მოგვარების სტილი აერთიანებს დემოკრატიულ იდეალებს. ქალები, მათი კოლეგა მამაკაცებისგან განსხვავებით, ცდილობენ იმუშაონ არა იერარქიულ, არამედ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ გარემოში.
- დეპუტატი ქალები ხელისუფლებას მიიჩნევენ როგორც მექანიზმს, რომელიც ემსახურება ნაკლებად წარმოდგენილ ან უმცირესობაში მყოფ ჯგუფებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოდ აღიარებულია, რომ დეპუტატი ქალები გაცილებით მგრძობიარენი არიან საზოგადოების პრობლემების მიმართ და მეტ პასუხისმგებლობას გრძობენ მათი მოგვარებისათვის.
- ქალები იღებენ ვალდებულებას, ჩაერთონ მშვიდობის მშენებლობისა და პოსტკონფლიქტური აღმშენებლობის პროცესში. მათ გააჩნიათ უნიკალური და ძლიერი ხედვა მოლაპარაკების მაგიდასთან. შეიარაღებული კონფლიქტების დროს ყველაზე მეტად ქალები ზარალდებიან და სწორედ ისინი წარმართავენ სტაბილიზაციის, აღმშენებლობისა და კონფლიქტების პრევენციის აუცილებლობის პროპაგანდას.

იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მსოფლიო განვითარების მიზნები და აშენდეს ძლიერი, მდგრადი დემოკრატია, ხელი უნდა შეეწყოთ ქალების, როგორც ძლიერი ლიდერების, განვითარებას პოლიტიკასა და საზოგადოებაში.

ინგლისურიდან თარგმნა  
მირანდა გვანცებლაძე

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - მერი ბელაშვილი

კორესპონდენტები - ხათუნა გოგუა, მანანა ლეშკაშელი

ფოტო - მანანა ლეშკაშელი

დიზაინი - ლია კოსტავა

რედაქტორი - ლალი შენგელია

მისამართი: ქუთაისი, მაგლობლიშვილის 6

ტელ. (+995) 331 7 29 02

ფაქსი: (+995) 331 7 13 68

ელფოსტა: woman@fundsokhumi.ge

ვებ-გვერდი: www.fundsokhumi.ge

დაიბეჭდა „მზმ- პოლიგრაფში“

ქუთაისი, წერეთლის 186



ჟურნალის გამომცემელი  
ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია  
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

გამოდის 2006 წლიდან